საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/02/2025

MES 3 25 0000137721

გადაწყვეტილება

"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისშესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №848368 გადაწყვეტილებაში ხარვეზის გასწორების და შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 იანვრის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის №848368 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების ნაწილის მე-4 პუნქტი განისაზღვროს შემდეგი სახით:
“4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
2. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.
4. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.
5. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების: ,,აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები,

მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულრეკრეაციული პოტენციალი და ა.შ.” სილაბუსების თემატიკა და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა.

რჩევები:

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
4. "სასტუმროს მომსახურება" მიზანში ტურიზმის პოლიტიკის თემა აისახოს შესაბამის სასწავლო კურსებში ან შემოღებულ იქნას სასწავლო კურსი "ტურიზმის პოლიტიკა".
5. სასურველია, განისაზღვროს და გასაჯაროვდეს ,,ინგლისური ენის B2 დონის” დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდებიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გამოცდის ვალდებულებისგან."

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 11 თებერვლის №135930 ოქმის №6 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილების დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა